საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 118 ოთხშაბათი, 18 დეკემბერი, 1918 წ. № 118

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **50** კაპ. საჭიროებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

ქართული ლატარია

მოკალაქენო! ნუ აგვიანებთ გილეთების შეძენას.

1168 3—3

სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

გამგე ს. ი. ევლახოვი. ხუთშაბათს, დეკემბრის 19, ტფილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის დღეს—საბანეფიას, ზალიასის, ნიკოლსის, დემიანენკოს მოხალისეობით

სევილელი დალაქი.

და ბალეტი (საათის ცვლა ოპერა ჯიოკონდადან).

შაბათს, დეკემბრის 21 საბანეფიას, სარაჯევის, ინაიეის მონაწილეობით „ტრავიატა“. კეირას, დეკემბრის 22, დილით „ეგვტი ოსტატი“, საღამოს „ლუშკის, ზალიასის, ნიკოლსკის მონაწილეობით. „აღი“. სამშაბათს, დეკემბრის 24-ს საბანეფიას და სარაჯევის მონაწილეობით. „მარგალიტის მაძებარნი“.

1181. 1—1

დაიგეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასაყიდად

ბედლის

საქართველოს კალენდარი

ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე.

(Кавказскій календарь-ის ფარმატით).

კალენდარი იბეჭდება ახალი და მეტად სტილით.

კალენდარის გარეკანზე მოთავსებული იქნება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის **ნ. ს. ჩხეიძის** და საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის **ნ. ნ. ჟორდანიას** სურათები, საქართველოს **დროშა**, საქართველოს **ღერბი** (სპრემიოდ დახატული მხატვარ შარლემანის მიერ) და რევოლუციონური დროშა ფერადი სიდებით შესრულებული მოქანდაკის იაკობ ნიკოლოძის მიერ.

ფასი კალენდრისა **ათი** მანეთი.

დაკვეთა შეიძლება საქართველოს მთავრობის სტამბაში, კალოუბანის ქუჩა, № 5.

შრომის სამინისტროდან

ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს.

თანახმად მთავრობის დადგენილებისა ამა თვის 7 თარიღით, რათა საჩქაროთ მოეწყოს სახელმწიფო მოსამსახურეთა სასურსათო დახმარების ორგანიზაცია, შრომის სამინისტრო წინადადებას აძლევს რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო დაწესებულებს, გარდა რკინის გზის და სამხედრო უწყებისა, დაჩქარებით წარმოგვედგინონ სია თავიანთი მოსამსახურეებისა შემდეგის განმარტებით: 1) თანამდებობა მოსამსახურისა, 2) რაოდენობა ჯამაგირისა, 3) ოჯახის შემადგენლობა (რიცხვი ოჯახის წევრებისა), 4) რაოდენობა და ფასი იმ მოსახმარ საგნებისა, რომელსაც იღებენ დაწესებულებებიდან და ან სად იღებენ. სია იმ მოსამსახურეების იმ დაწესებულებებიდან რომელნიც იმყოფებიან ტფილისში უნდა არა უგვიანეს წარმოადგინონ 20 დეკემბრისადა პროვინციებიდან კი არა უგვიანეს 1 იანვრის 1919 წლისა.

სიები უნდა გამოგზავნილ იყოს შრომის სამინისტროში.

(პეტრე დიდის ქუჩა, 8). 1170 1—1

მაშულიშვილნო!

დღეს სამშობლოს თქვენი თავი სჭირია

მოიხადეთ თქვენი მოვალეობა

ქართული ლეგიონი საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ნებართვით მოუწოდებს მოხალისეებს.

მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების ბინაში, (სასახლის ქუჩა) ქართული თეატრის ეზოში, სადაც დროებით მოთავსებულია ლეგიონის კანცელარია. იქვე შეიძლება ყოველგვარი პირობების შეტყობა.

ლეგიონის სარდალი პოლკოვნიკი ლეონ კერესელიძე.

პოლკოვნიკ ნარიკელაძეს

მინდობილი აქვს ოფიცერთა რაზმის შედგენა

შემდეგი პირობებით:

ოფიცრებს მიეცემათ უმცროს ოფიცრის ჯამაგირი, ჯარის-კაცის ხარჯი და უბედურ შემთხვევაში მათი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება.

ოფიცრებმა, რომელთაც სურთ აღნიშნულ რაზმში შესვლა, უნდა ჩაეწერონ ზემოხსენებულ პოლკოვნიკთან.

მისამართი: მიხეილის პრ., სამხედრო სასწავლებელი, რაზმის კანცელარია.

სამხედრო სამინისტროს პიროვნულ შემადგენლობის განყოფილების უფროსი გენერალ-მაიორი წულუკიძე.

ქიმიი ი. პ. აგაკიშვილის შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოკლნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ-ტლექსია სისხლხაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$— 6 საათამდე. ჰეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86. № 719.

ოფიციალური განყოფილება

განკარგულებანი

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

6 დეკემბერი 1918 წ.
№ 102.

§ 1.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის ვიცე-დირექტორს დიმიტრი გიორგის ძე იფხაზს ევალება პირდაპირი გამგებლობა სამინისტროს სავაჭრო-სამრეწველო ნაწილისა კანცელარიის დირექტორის უფლებით საქონლის გამცვლელ კომიტეტის თავმჯდომარედ დატოვებით ამ დეკემბრის 6-დან. 1918 წ.

§ 2.

ინიშნებიან: მინდობლობის ინჟინერი ეპიფანე ნასტორის ძე ალშიბაია სამრეწველო განყოფილების მომარაგების მცირე განყოფილების გამგედ 15 ოქტ. 1918 წ.

მომარაგების მცირე განყოფილების გამგე გრიგოლ დარისპანის ძე ჯანდლიძე სამინისტროს სავაჭრო-განყოფილების უფროსად 15 ოქტ. 1918 წ.

საქონლის გამცვლელ კომიტეტის მოანგარიშე თამარა ალექსის ასული ჭიპინაძე—კრასოვსკაია საგარეო ვაჭრობის მცირე განყოფილების გამგედ 15 ოქტომბრიდან 1918 წ.

საქონლის გამცვლელ კომიტეტის ბუღგალტერი ბესარიონ ლევანის ძე ჯაიანი საგარეო ვაჭრობის მცირე განყოფილების ბუღგალტერად 20 ოქტ. 1918 წ.

საქონლის გამცვლელი კომიტეტის საქმის მწარმოებელი გიორგი კირილეს ძე იოსელიანი საგარეო ვაჭრობის მცირე განყოფილების საქმის მწარმოებლად 20 ოქტ. 1918 წ.

სამრეწველო განყოფილების სტატისტიკურ მცირე განყოფილების გამგე გაბრიელ მიხეილის ძე ბგნაშვილი სამინისტროს სავაჭრო-სამრეწველო ნაწილის სტატისტიკურ მცირე განყოფილების გამგედ 20 ოქტომბრიდან 1918 წ.

6 დეკემბერი 1918 წ.
№ 103.

დანიშნულ იქმნენ: ფინანსთა სამინისტროს საგანგებო სალიკვიდაციო განყოფილების საქმის მწარმოებელი მოსე კონსტანტინეს ძე ბოგატინი, სამრეწველო განყოფილების მომარაგების მცირე განყოფილების საქმის მწარმოებლად 1 დეკ. 1918 წ.

ფინანსთა სამინისტროს საგანგებო სალიკვიდაციო განყოფილების საქმის მწარმოებელს სიმონ აბელის ძე დავიდოვი სტატისტიკურ მცირე განყოფილების სავაჭრო-სტატისტიკის მოანგარიშედ 1 დეკემ. 1918 წ.

ქეთევან ივანეს ასული ქუთათელაძე სამინისტროს სავაჭრო-განყოფილების რეგისტრატორად 1 დეკ. 1918 წ.

7 დეკემბერი. 1918 წ.
№ 2250.

თანახმად პირველი ტფილისის ქვრძო ლომბარდის საკრედიტო საზოგადოების შუამდგომლობისა ნება ეძლევა ხსენებულ საზოგადოებას გადიდოს ძირითადი თანხა 500.000 მანეთიდან—1.000.000 მანეთამდე, ნახევარი მილიონის მესამე აქციების გამოცემით 100,500 და 1000 მან. ღირებულებისა.

განცხადება საზოგადოებისა იბეჭდება გაზ. „საქართველოს სესპუბლიკაში“.

14 დეკემბერი, 1918 წ.
№ 106.

დანიშნულია: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საერთო განყოფილების კანცელარიის მოსამსახურე იოსებ დავითის ძე მგზურიშვილი ამავე სამინისტროს არა პირდაპირ გადასაბადთა მცირე განყო-

ფილების გაწვის თანაშემწედ ამა წლის 1 დეკემბრიდან.

12 დეკემბერი, 1918 წ.

№ 107.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა: საერთო განყოფილების საქმის მწარმოებლის თანაშემწე პატრუ დავითის ძე ლოგაძე საეპარქიო-განყოფილების შინაგან ვეპარქიის მცირე განყოფილების საეპარქიო და საბაჟო ნაწილის საქმის მწარმებლად ამა წლის 6 აგვისტოდან.

14 დეკემბერი, 1918 წ.

№ 108.

მიეცივარ რა საქმეების გამო ქ. ქიაღორაში, დროებით ჩემს მოვალეობის აღსრულებას ვანდომ. ფინანსთა სამინისტროში ჩემს ამხანაგს კონსტანტინე პლატონის ძეს კანდელაკს.

14 დეკემბერი 1918 წ.

№ 103.

სამრეწველო განყოფილების მრეწველობის მცირე განყოფილების საქმის მწარმოებელი ინჟენერი ვასილი კონსტანტინეს ძე გუნცაძე ინჟინრება დროებით რესპუბლიკის სამხეთ მართველობის სამსახურში 1 დეკემბრიდან 1918 წ.

ფინანსთა და ვეპარობა-მრეწველობის მინისტრი გ. ე ქ უ რ უ ლ ი.

ყველა უწყების სახელმწიფო დაწესებულებათ, გარდა სამხედროსი და რკინის გზისა

№ 4455.

ამა წლის დეკემბრის 10-ს.

მთავრობამ დაადგინა დაბმარება აღმოუჩინოს სახელმწიფო მოსამსახურეთ. ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად, შესდგა კომისია, რომელშიც შედიან შრომის სამინისტროს, მთავარი სასურსათო საბჭოს, უფროსის და უმცროს სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირის, ფოსტა-ტელეგრაფისა და კოოპერატივების მოსამსახურეთა წარმომადგენლები. კომისიის ევალება იგი ფასებში მიაწოდოს სახელმწიფო მოსამსახურებს პირველ-მოთხოვნილების საგნები, რომელებსაც იყიდის მთავრობის მიერ მიცემულ 2.000.000 მ. ბაზარზე ან სახელმწიფო საწყობებში.

ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, გარდა სამხედროსი და რკინის გზისა, წინადადება ეძლევათ დაუყონებლივ წარმოადგინონ ყველა მოსამსახურეთა სია, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს 1. თანამდებობა, 2. ოჯახის შემადგენლობა (რამდენი სულია) 3. ფიქტიური ჯამაგირი (ყოველ გვარ დამატებებით) და 4. რა მოსახმარებელ საგნებს აძლევს დაწესებულება, რა ფასებში და საიდან.

შრომის სამინისტრო იმედოვნებს, რომ ეს ცნობები, რომელიც თვით მოსამსახურეთა ინტერესებს შეადგენენ, რაც შეიძლება ჩქარა და სისწორით იქნება წარმოდგენილი.

ქ. ტფილისის სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა სია წარმოდგენილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 20 დეკემბრისა.

შრომის მინისტრის ამხანაგი ე რ ა ძ ე.

არა ოფიციალური განკუთვილება

მთავრობაში.

კრედიტი გვარდიას

სამხედრო მინისტრის მოხსენების შემდეგ თანახმად ფინანსთა მინისტრის დასკვნისა მთავრობამ დაადგინა: მიეცეს სახალხო გვარდიას ორი თვის განმავლობაში სამხედრო სამინისტროს კრედიტებიდან 3 000.000 მანეთიდან ფული დაუბრუნებლივ შემდეგ სამინისტროს სახალხო გვარდიის თანხებიდან პარლამენტის მიერ ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შემდეგ.

აფხაზეთის საარჩევნო პროექტი.

მთავრობამ ზოგიერთი ცვლილებით მიიღო მთავრობის იურისკონსულტის პროექტი დებულებისა აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნების შესახებ. პროექტი ამ დღეებში დასამტკიცებლათ წარედგინება პარლამენტს.

სამოქალაქო დღესასწაული.

შრომის მინისტრის მოხსენების თანახმად სამოქალაქო დღისასწაულად მთავრობამ დაამტკიცა 1 და 26 მაისი.

მთავრობის მდივნის დანიშვნა.

საქართველოს რესპუბ. მთავრობის მდივნად მიწვეულ იქნენ გალაქტიონ ტაბიძე, რომელიც უკვე შეუდგა მოვალეობათა აღსრულებას.

პროექტების დამტკიცება.

მთავრობამ დაამტკიცა იუსტიციის მინისტრის პროექტი მ აჯულების და ბრალმდებლების შესახებ. მანვე მიიღო დანარჩენ მოსამსახურეთა შესახებ აზრი საუწყებოთაშორისო კომისიის დასკვნის თანახმად.

სამხედრო სამინისტ. ცნობა

სამხედრო მინისტრის ბ. გრ. გიორგაძის მიერ მიღებულ ცნობების თანახმათ სანაინის მიმართულებით იქ დარჩენილმა ჩვენმა რაზმებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგეს გარშემორტყმული წრე და სამშვიდობოს გამოვიდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში

გაფრთხილება გაზეთ "რეჩს".

გაზ. „რეჩი"-ს მე 58 ნომერში, 14 დეკემბერს მოწინავე წერილში „საქართველო და ბოლშევიკები" გადმოცემულია ვითომც ამ ჟამად დაენებებით ლაპარაკი იყოს იმის შესახებ თითქოს საქართველო აპირებს ბოლშევიკებთან შეთანხმებას თვის დამოუკიდებლობის დასაცავად და ვითომც ყოველს კარგათ მოეხსენება საქართველოს მთავრობის დამოკიდებულება ბოლშევიკებთან და რომ ამასთან ერთად მოგონილია ის ფარული კრებაც, რომელიც არ შემდგარა და სიტყვაც ამ კრებაზე, რომელიც არ წარმოთქმულა, მე, შინაგან საქმეთა მინისტრმა დავადგინე გამოეკვლიათ გაზეთ „რეჩს" განზრახ ყალბი ცნობების გავრცელებისათვის, რომელიც მღელვარებას იწვევს საზოგადოებაში, გაფრთხილება.

უმიზნოთ სროლა.

ქუთაისის გუბერნიის კომისარმა გრიგოლიამ შემდეგი დეპეშით გამოუგზავნა მოსსენება შინაგან საქმეთა მინისტრს: „მოგახსენებთ, რომ 12 დეკემბერს სახალხო გვარდიის დღესასწაულის გამო დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი ყვირილოსში, რომელთა შორის საღამოთი მცირე მთვრალი აღმოჩნდა. ერთმა მილიციონერმა უმიზნო სროლის დროს გამოიწვია ყვირილოსში საერთო სროლა. მოკლულია 1 მილიციონერი და სახალხო გვარდიელი ფეშაძე, დაჭრილია მილიციის უფროსი. მაზრის კომისიაროს მოხსენებით ფერადე მოკლულ იქმნა მას შემდეგ, როცა მის მიერ დაჭილ იქმნა მილიციის უფროსი. გავეგზავნე ბრალმდებელთან ერთათ საქმის დაწერილებით გამოსაძიებლათ.

კამისრის გაძევება.

ტფ. გუბერნიის კომისარმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რათა ბორჩალოს მაზრის ს. შულავრის კომისარი გალეჩინი თანახმად ბორჩალოს მაზრის გენერალ-გუბერნატორისაგე დასტურისა, გაძევებულ იქმნეს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან, როგორც მავნე პიროვნება საქართველოს რესპუბლიკისათვის.

ბ. მაღლაკელიძის მოხსენება.

გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგა თელავის მაზრის გენერალ-გუბერნატორი ბ. მაღლაკელიძე და ვრცელი მოხსენება წაუწყდინა თელავის ამბების შესახებ. ბ. მაღლაკელიძემ მოახსენა, რომ მდგომარეობა იმდენად გაუმჯობესდა, რომ ამ დღეებში შესაძლოა სამხედრო წესების მოხსნაო.

საგარეო საქმეთა სამინისტროში

სომხეთის დელეგაცია ბ. გეგეჭკორთან.

საგარეო საქმეთა მინისტრს ე. ჰ. გეგეჭკორს წარუდგა სომეხთა ეროვნულ საბჭოს დელეგაცია და იმედი აღუთქვა ყოველივე ზომების მიღებენ, რომ ზედგავლენა იქონიონ სომხის ერზე კატასტროფიულ შედეგების თავიდან ასაცილებლათო.

სამხედრო სამინისტროში

სიფრანგეთის ვიცე კონსული ბ. გიორგაძესთან.

სამხედრო მინისტრი ბ-ნი გრ. გიორგაძე ინახულა საფრანგეთის ვიცე კონსულმა, რომელსაც მინისტრმა დაწვრილებით აუხსნა ვიტრაული თავდასხმა და ის გარემოებანი, რომ თავიანთი ულტიმატუმის პასუხსაც კი არ დაუცადესო. გარდა ამისა გადასცა, რომ ჩვენი მოკლული მხედრობა გვამები სომხების მიერ ისეა დასახიჩრებულნი, რომ ვერც კი იცნობიანო. კონსულმა გულდასმით მოუსმინა მინისტრს და გამოსთქვა მწუხარება ასეთ ველურ საქციელზე.

გზათა სამინისტროში

საიდუმლოების დაცვის საჭიროება.

რკინის გზის უფროსმა ბრძანება გასცა ლიანდაგის უფროსთა სახელზე, სასტიკად დაიცვან მოსამსახურე ტელეგრაფისტებმა ინსტრუქცია სატელეგრაფო საიდუმლოების შესახებ. მეტადრე ეკალები თავისი მოვალეობანი მტკიცედ დაიცვან ამ მხრივ ნავთლულ-სანაინის მიმართულებით.

ტრაქტის მოწყობისათვის.

სამხედრო მინისტრმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ თანახმად სანაპირო რაზმის უფროსის პოლკ. სრესელის ცნობისა, რომელიც მან პირდაპირი მავთულით მიიღო, სამხედრო გზაზე ტრაქტი სრულებით მოუწყობელია, რადგანაც ფოსტის, გაზეთების მიღების და საერთოდ ტრაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკისათვის და მისი ხელსაყრელად მოწყობა უპირველესი საჭიროებაა, სამხედრო მინისტრი სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს გასცეს განკარგულება, რათა საჩქაროდ დაკმაყოფილებულ იქმნას ეს საჭიროება. შინაგან საქმეთა მინისტრმა შესაფერ განკარგულებისათვის ეს მიმართვა გაუგზავნა გზათა სამინისტროს.

შეშის ფასი.

რკინის გზის სამასალო ნაწილის უფროსმა კაპანაძემ აცნობა ლიანდაგის უფროსებს, რომ თანახმად რკინის გზის საბჭოს დადგენილებისა მიმდინარე წლის 3 დეკემბრის თარიღით, 1 მკათათვიდან ამა წლისა, შეშა ერთი კუბი ღირს: ნომეკლატურული შეშა ხმელ ჯიშისა 320 მ. ნედლი ჯიშისა 270 მ. ნამტვრევი 6 გოჯიანი ხმელ ჯიშისა 360 მან., ხოლო ნაღდ ფულზე მოსამსახურეთათვის ხმელი შეშა ღირს 330 მ. ნედლი 280 მან. ნამტვრი 6 გოჯიანი მაგარ ჯიშისა 370 მან. ნედლი 340 მან.

დაჯარება.

სად. ავჭალის უფროსი ქმაჭავრიანი ატყობინებს დეპეშით, რომ 12 დეკემბერს მატარებელი № 5 დაეჯახა დრეზინას მე-281 ვერსზე და შიგ მსხდომთაგან მოკვდა მუშა ტატო ცერეუაშვილი, მძიმედ დაჭრილია ხელოსანი ივანე თათუმაძე და მუშა სერგო ქსოვრებული შეილი.

შეშაზე ნებართვის თხოვნა.

მუშა-მოსამსახურეთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ აცნობა გზათა სამინისტროს შემდეგი: „ვინაიდან წელს მოულოდნელ საერთო არევ-დარევის დროს რკინის გზამ ვერ შესძლო დემზადებია საკმაო შეშა მუშა-მოსამსახურეთა მისაკვნად ბინების გასათბობად და რადგანაც არც ერთ მუშა-მოსამსახურეს არა აქვს გასათბობი მასალა, ამისათვის რკინის გზის სამმართველომ ნება დართო მოსამსახურეებს თითონ შეიძინონ შეშა და მის გადმოსატანად კი დაეთმობათ ვაგონები უფასოდ. მაგრამ, როდესაც მოსამსახურეები შეეცდნენ შეშის შეძენას რიგელიმე ტყიდან, არსად ნება არ დართეს მის გამოტანაზე. ცენტრალური გამგეობა გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება, რომ შეშის შეძენის ნება დაერთოს რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებს, როდესაც უკანასკნელნი წარმოადგენენ გზის სამმართველოდან მიცემულს რიგს.

სახალხო განათლების სამინისტროში

ეროვნული დროშები.

სახალხო განათლების სამინისტრომ ბრძანება დაუგზავნა ყველა საშეალო სასწავლებლებს ეროვნული დროშები შეიძინონ.

ვაჭრობა მრეწველობის დარგი

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან საქართველოში დაარსდა რამოდენიმე ათეული საქციონერო საზოგადოებანი, რომელთა საერთო თანხა 200,000,000 მანეთს უდრის

საგენერალ-გუბერნატოროში

ტფ. საგენერალ გუბერნატორში მეშვიდება ახალი დადგენილება, რომლის ძალითაც ღამით 11 საათს იქით გამოსვლა და მაგარ სასმელებით ვაჭრობა აღკრძალულია.

სამშობლოს დასაცავად.

სახალხო გვარდის შტაბის მოწყობება.

ტფილისი, 17 დეკემბერი. გორი, ბაშური, შორაპანი, ყვირილა, ქუთაისი, სამტრედია, თელავი, სიღნაღი, სარაჟიანა, სახალხო გვარდიის შტაბს. აჯანყებულ სომეხთა ბრბოები და სამხედრო ნაწილები, ჯუპასხისშვილებო პოლიტიკანების ხელმძღვანელობით, რომლებმაც მოჰკლეს კარჩიანი და აზატიანი და მეზობლად მცხოვრებ ხალხებს დიდ უბედურებაში აგდებენ, თავს დაესხნენ ჩვენს მოსახლეზე რაზმებს და დახოცეს ჯარისკაცნი.

ჩვენ არ გვინდოდა სისხლისღვრა და ვიცავდით რა თავს, შეთანხმებას ვცდილობდით.

მაგრამ შეთანხმება უარყვეს და ბრბოებმა სომეხთა დელეგაციაც კი არ შიიღეს.

მშვიდობიანობის მაგიერ ომი მოგვიხვიეს თავს, ძმურ სოლიდარობის მაგიერ სისხლში ჩაგვაბრჩეს, თავისუფლების მაგიერ მონობა შეგვთავაზეს, მოთმინების ფიალა აიესო.

ავაზაკებო, თქვენ ის აიესეთ ძმათა სისხლით.

და მთელი დაღვრილი სისხლი, მთელი ზიზღი, ამ სისხლზე აღმოცენებული, თქვენ თავს დაატყდება.

გვსურს რა შევაჩეროთ სისხლის ღვრა სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა დაადგინა მოიწვიოს წითელ დროშის ქვეშ მთელი სახალხო გვარდია.

გაწვეული რაზმები თავის ადგილებით დაუყოვნებლივ ტფილისში გამოგზავნით.

სხვა ნაწილებისგან ცალკე რაზმები შეადგინეთ და საჩქაროთ გამოგზავნეთ ტფილისში. გაამეცადინეთ თავლ ყურის დევნა და დგილობრივ და ბიჯობად დაიკავეთ ბიდები.

გახსოვდეთ ამხანაგებო, რომ თავისუფლება და რევოლიუცია თქვენს დახმარებას ელის.

ეშალოვნების გაგზავნის დროს შესახებ დეპეშით აცნობენ მთავარ შტაბს.

მოხალისეების მოიწვევენ.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ნებართვით ქართული ლეგიონი მოიწვევს მოხალისეებს.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბინაზე, სახალხის ქუჩა, ქართული შაიატარის ეზოში, სადაც დროებით არის მთავარსარდლის ლეგიონის კანცელარია იქვე შეიძლება ყოველგვარ პირობების შეტყობა.

ლეგიონის სარდალი პოლკოვნიკი ლეო კერესელიძე,

რაზმის შედგენა.

პოლკოვნიკ ნარიკელაძეს მინდობილი აქვს ოფიცერთა რაზმის შედგენა შემდეგი პირობებით: ოფიცრებს მიეცემათ უმცროს ოფიცრის ჯამაგირი, ჯარისკაცის ხარჯი და უბედურ შემთხვევაში მათი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება. ოფიცრებს, რომელთაც სურთ აღნიშნულ რაზმში შესვლა, უნდა ჩაეწერონ ზემოხსენებულ პოლკოვნიკთან; მისამართი: სამხედრო სასწავლებელი, მიხეილის ქუჩა, რაზმის კანცელარია.

ბრძოლის ასპარეზისაკენ.

სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეთა კავშირის უკანასკნელმა კრებამ ერთხმად დაადგინა შეადგინონ სადანგარო რაზმი ბრძოლის ასპარეზზე წასასვლელად.

სტუდენტები ჯარში.

ორშაბათს, 16 დეკემბერს, ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტთა ფრაქციული კრებები გაიმართა. იმსჯელეს დღევანდელ მოვლენებზე. ყველამ ერთხმად დაადგინეს ჯარში წავიდნენ.

კანონ-პროექტები

კანონ-პროექტი შემუშავებული სახალხო განათლების სამინისტროს მიერ უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებში მოსასმსახურე პირთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

1. უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებში არსებული შტატების ნაცვლად დაწესდეს შემდეგი ახალი შტატები:

2. უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის გამგეს აქვს არა უმეტეს თორმეტი გაკვეთილისა კვირაში.

3. სასწავლებლის გამგეს თანამდებობისათვის ეძლევა 3600 მან. წლიურად და ბინა ან ბინის ნაცვლად ფულად 1500 მან. მასვე თითო პარალელურ კლასისათვის 100 მან წელ; გამგეს, თუ იგი უმაღლესი განათლებისა, თანამდებობისა და 12-ტი გაკვეთილისათვის ეძლევა 8400 მან. წლ. და ბინა ან ბინის ნაცვლად 1800 მან. და უფლება სამი ხუთწლიანი დამატებისა—600 მან. თვითოეული.

4. გამგესა და საგნების შტატის მასწავლებელთ, 12-ტი ძირითადი გაკვეთილისათვის ეძლევათ 3860 მან. თვითოეულს და უფლება სამი ხუთწლიანი დამატებისა 500 მან. თვითოეული.

5. თუ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელი უმაღლესი ცენზითია, იგი დაჯამაყოფილებულ უნდა იქნეს საშეალო სასწავლებელთა შტატის მიხედვით.

6. 12-ტზე ზევით თვითოეულს დამატებითს

გაკვეთილში—2800 მან., ხოლო საერთო რიცხვი გაკვეთილებისა არ უნდა აღემატებოდეს თვრამეტს.

შენიშვნა: ყოველს კერძო შემთხვევაში 18-ზე მეტი გაკვეთილის აღება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულის ნებართვით.

7. წერით სავარჯიშოთა გასასწორებლად ყოველი საგნის მასწავლებელი ეძლევა 280 მან. წლიურად თვითოეულს კლასზე.

8. პედაგოგიური საბჭოს მდივნობისათვის და ბიბლიოთეკის გამგეობისათვის თითო მასწავლებელს ეძლევა 480 მან. წლიურად.

9. თვითოეულ კლასისათვის დაწესებულია თითო კლასის დამრიგებელი, ხოლო კლასის დამრიგებლებისათვის მაწავლებელს ეძლევა 1800 მან. წელიწადში.

შენიშვნა: კლასის დამრიგებელს არა აქვს უფლება აიღოს გაკვეთილები სხვა სასწავლებელში.

10. არა სრულ უფლებიან მასწავლებელთა სასულიერო და სამასწავლებლო სემინარიებში და ქალთა გიმნაზიებში-პედაგოგიურის კურსით—და აგრეთვე ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულთ, როშენლიც ამ კანონის ძალაში შესვლამდის ასრულებდენ მასწავლებლობა მოვალეობას, ენიშნებათ ისეთივე ჯამაგირი და ჯილდო დამატებითი გაკვეთილებისათვის, როგორც შტატის მასწავლებელთ და უთანასწორდებიან მათ ყოველგვარ უფლებებში.

11. უმაღლეს დაწესებით სასწავლებელთა უფლებიან მასწავლებელთ, თუ ისინი წინედ მსახურობდენ მასწავლებელთა პირველ დაწყებითის სასწავლებლებში, ან საზოგადოდ სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში, ჩაეთვლებათ ხუთწლიანი დამატების მისაღებად ყველა ნამსახური წლები.

12. დადგენილი შტატებისა და კანონდებულების მოქმედება გავრცელებულ იქმნას იმ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლებზე, რომლებიც ინახებიან ხაზინისა, ეროძთა და ქალქების ხარჯზე.

13. სახელმწიფო მოსამსახურენი, რ თაც უჭირავთ შტატის თანამდებობანი, სამსახურის დროს პენსიას არ იღებულობენ.

14. დადგენილ იქმნას, რომ იმ პირთ, რომელნიც დანიშნებიან უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებში მასწავლებლად, ნება ეძლევათ წინდაწინ მიეცეთ ჯამაგირის მესამედი, ხოლო შემდეგ გამოერიცხოთ წესდების კანონ. კრებ. ტომ. 3 გამოცემა 1896 წ. 216 და 217 მუხლების თანახმად.

15. ის პირნი, რომელნიც აღნიშნულ შტატის შემოღებისას არ მიიღებენ ახალს დანიშნულებას საერთო წესით, შტატს გარეშე უნდა დარჩნენ.

16. მოსამსახურეთა შვილები და აგრეთვე შვილები იმ პირთა, რომელთაც უმსახურიათ არა ნაკლები ათი წლისა მთავრობის სახაზინო სასწავლებლებში, ან სპეციალ თანამდებობანი ექიმისა, განთავისუფლებულ იქმნას სწავლის ფულის შეტანისაგან ყველა სახელმწიფო ვაჟთა და ქალთა სასწავლებლებში.

17. თვითეულს უმაღლეს დაწყებით სასწავლებელს უნდა ჰყავდეს სასკოლო ექიმი, რომელსაც წლიურ ჯამაგირად ენიშნება 2400 მან.

18. ამ კანონის ძალაში შესვლისთანავე გაუქმდეს მოქმედება ყველა კანონის სხვა და სხვა პრივილეგიათა და დამატებით ჯილდოთა შესახებ.—3 მარტის კანონი და სხვა.

19. ეს კანონი შევიდეს ძალაში 1918 წლის 1 სექტემბრიდან.

20. გარკვეულ იქმნას ყოველ წლიურად 1918 წლის 1 ენკენისთვიდან დაწყებულ ხარჯთა-აღრიცხვის წესით ყველა ის თანხა, რომელიც საჭიროა ამ კანონში დასახულ ზომათა განსახორციელებლად და რაიც დაფარულ უნდა იქმნეს სახელმწიფოს საშუალებით.

თელავის მაზრაში

თიანეთის მოლად დაინგრა ავაზაკთა ბუნაგი თელავის მაზრაში. ფართო მასა სიამოვნებით ღებულობს მონაწილეობას ავაზაკებთან ბრძოლაში.

ან როგორ არ უნდა მიიღონ მონაწილეობა როცა ამ ავაზაკებისაგან მოსვენება არ ჰქონდა მაზრას; ეხლა კი რწმენდებიან, რომ ისინი საშიშროებას აღარ წარმოადგენენ, ბ-ნ მაღლაკელიძის ენერგიულისა და გონივრული მოქმედების წყალობით; ხალხი დარწმუნდა, რომ თუ ადმინისტრაციამ ხელში ჩაიგდო ავაზაკები, ის მას ვეღარსად წაუვა, როგორც ეს უწინ ხდებოდა ხშირათ.

ბ-ნი მაღლაკელიძე დღითი დღე ამღიერებს მათთან ბრძოლას; მას გადაწყვეტილი აქვს საშუალებათ გაანთავისუფლოს მაზრა მათ თავრეშისაგან.

9 ამა თვეს ბ. მაღლაკელიძეს ცნობა მოუვიდა ცხინვალის რაიონიდან, რომ იქ ბინადრობენ კიდევ ზოგიერთი ცნობილი ყაჩაღები. ბ. მაღლაკელიძე საჭიროთ გაეშურა ხსენებულ რაიონისკენ; თან გაიყოლა ბათალიონის ჯარის კაცები, სამაზრო მილიცია და ჯაფარიძის ცხენოსანთა რაზმი. ხსენებულ რაიონის ზოგ სოფლებში იარაღიც ჩაუბარებელი ჰქონდა კიდევ ხალხს.

პირველათ ბ. მაღლაკელიძე ჯარით მივიდა ს. ვანნაძიანში და აკურაში, სადაც მოახდინა მახლობელი სოფლების (ს. ურიათუბანი, კალაური, ბაბიანი და სხ). ყრილობა. ყრილობაზე ხალხმა ერთხმათ აღუთქვა ბ. მაღლაკელიძეს ყაჩაღებთან ბრძოლაში დახმარება. ადგილმდებარემა კომისარმა კალატოზიშვილმა დიდი დახმარება გაუწია ბ. მაღლაკელიძეს. მისი ფხიანობისა და ენერგიის წყალობით ხალხში სასწრაფოდ შეიკრიბა იარაღი, ვერც ყაჩაღები პოულობენ მის საკმისაროში თავშესაფარს.

ყრილობის გათავების შემდეგ კომისარს ცნობა მოუვიდა, რომ ერთ მახლობელ სოფელში ბინა აქვს დუშეთიდან ახლათ ჩამოსულ, იქაურ ამბოხების ერთ მეთაურთაგანს ვინმე ი. მოძღვრიშვილს. ბ. მაღლაკელიძემ ბრძანება გასცა, რომ მოენახათ ხსენებული მეამბოხეები.

ადგილობრივ მილიციის დახმარებით მიაგნეს მის კვალს. მივიდნენ იმ სახლში, სადაც იმ დღეს ექვიფნა ხსენებულ მოძღვრიშვილს. სახლის პატრონმა და მეზობლებმა გადაფიცეს მისი იქ ყოფნა, რადგანაც თურმე ძალიან ჰყონია მას ხალხი დაშინებული. შემდეგ ბ. მაღლაკელიძე იძულებული იყო სასტიკ ზომებისათვის მიეხართა.

მილიციამ ხალხის დახმარებით მოძღვრიშვილს მიაგნო, ატყდა სროლა, რასაც შედეგათ მოჰყვა მოძღვრიშვილის სიკვდილი. ამ გამარჯვებამ ძალიან აღაფხოვანა ადგილმდებარე ხალხი და ხელ-ახლა აღუთქვეს ბ. მაღლაკელიძეს, რომ ისინი თავს არ დაზოგავენ ყაჩაღებთან ბრძოლაში.

შემდეგ ბ. მაღლაკელიძე გაემგზავრა ს. აკურაში, სადაც ხალხი მას სიხარულით და მადლობით შეეგება. აქ სროლის დროს მოკლულ იქნენ ცნობილი ყაჩაღები „დანიკო“ და „კორხა“ (ასე უწოდებდენ მათ); ხალხში ამ შემთხვევამ სიხარული გამოიწვია. აღსანიშნავია ხსენებულ ყაჩაღების შეპყრობაში როგორც ჯაფარიძის ცხენოსანთა რაზმის მამაცური, თავდაუზოგავი მოქმედება, აგრეთვე კომისარ გ. კალატოზიშვილისა და მილიციონერ ს. სამადაშვილის, ი. თეკლორაძის, ი. ნებუნაშვილის, შ. ჩაბიაშვილის, ა. დანელიშვილის, ზ. მოსე მღვდლიშვილის, ი. ჯანიაშვილისა და სხვათა. მათ თავგანწირულ ბრძოლას ყაჩაღებთან ბრძოლაში მაზრაში კეთილდღეობისა და მშვიდობიანობის დამყარებლად არასოდეს არ დაივიწყებს თელავის მაზრა.

დამსწრე.

ქალაქის საგზოზი

ორშაბათს, 16 დეკემბერს, ა. ს. ლომთათიძის თავმჯდომარეობით ქალ. საბჭოს სხდომა შესდგა, რომელზედაც დაესწრნენ საქართველოს პარლამენტის წევრნი, სხვა და სხვა ერობის გამგეობის წევრნი და მრავალი ხალხი.

ხსონებათა შუა სხდომა გარეშე საქმეთა მინისტრა ბ-ნი ევგ. პ. გეგეჭკორი და შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. ვ. რამიშვილი.

თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს დღის წესრიგზე გადასვლამდე მოისმინოს მიდამოში მომხდარ ამბების შესახებ და გამოიტანოს თავისი დადგენილება.

ქალაქის მოურავმა მოახსენა საბჭოს, რომ ის ამბები, რომელიც სანაინთან ხდება ყოველ მოქალაქეს ფრიად აღელვებს. ამ ამბებს ალაგი აქვს იმ ორ ძმურსა და მეგობარ ერს შუა, რომელთა შორის ოც საუკუნეზე მეტი ძმურად და მეგობრულად უცხოვრიათ და ისტორიამ არ იცის შემთხვევა მათი შტაკებისა. ეს ქვეყნები საქართველო და სომხეთია, რომელთა შუაც სამწუხარის გამო დავით ამტყდარი და ამ დაეამ 9 დეკემბერს სისხლის დაღვრამდე მიიყვანა საქმე. საქართველოს მთავრობის მხრივ წინადადება იყო მიცემული სომხეთისადმი, რომ ყველა ამგვარი სადავო საქმე გადაწყდეს საერთაერთო შეთანხმებით, და თუ ეს შეთანხმება ვერ მოხდა, მაშინ საქმე არბიტრაჟს გადაეცეს, ამისათვის ჯერ ყოველ ნოემბერში სამჯერ იყო დანიშნული და გადადებული კონფერენცია, რომელზედაც სომხეთმა თავის წარმომადგენელი არ გამოგზავნა, თუმცა სომხეთის მთავრობა პრინციპიალურათ დათანხმდა ჩვენს მთავრობას წინადადებაზე ამის შესახებ. ცხრა დეკემბერს კი, როგორც მოგახსენებთ, სისხლის ღვრა დაიწყო. აღნიშნა რა საუბედურო მნიშვნელობა ორივე რესპუბლიკისთვის, ქალაქის მოურავმა წინადადება მისცა საბჭოს განიხილოს ეს მდგომარეობა და წარმოსთქვას თავისი ავტორიტეტული სიტყვა.

ხმ. გოთუას თხოვნისამებრ ხმ. ე. პ. გეგეჭკორმა დაწვრილებით უამბო საბჭოს მის, როგორც საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრის და სომეხთა გარეშე საქმეების მინისტრთა მიწერ-მოწერა ამ საგანზე, რაც გუშინ ჩვენ გაზეთში იყო მოთავსებული.

ამ მოხსენებამ დიდი კამათი გამოიწვია. ქველა ფრაქციის წარმომადგენელმა წარმოსთქვეს თავიანთი ფრაქციის აზრი ამ საგნის შესახებ და ყველა იმ აზრის ატარებდა, რომ ამ დავის გადასწყვეტად სამშვიდობო მოლაპარაკება და შეთანხმებაა საჭირო, ანუ არბიტრაჟი და არა მახვილი და სისხლის დაღვრა, რომელიც ავნებს ორივე დემოკრატიას.

კამათის შემდეგ საბჭომ ერთხმად ერთი ხმისაც (ბ-ნ ვეშაპელის) გარდა, რომელმაც კენჭის ყრაში შონაწილეობა არ მიიღო შემდეგი რეზოლუცია მიიღო, სოციალ-დემოკრატების მიერ წარმოდგენილი.

„მოისმინა რა ქალაქის მოურავის მოხსენება ბორჩალოს მაზრის სამწუხარო ამბების შესახებ, ქალაქის საბჭო ფიქრობს, რომ სადავო სასაზღვრო საკითხების გადაწყვეტა ორ მეგობრულ რესპუბლიკათა, საქართველოსა და სომხეთს შორის მახვილის შემწეობით არის უდიდესი ბოროტმოქმედება ორივე ქვეყნის დემოკრატის ინტერესების წინააღმდეგ. ქალაქის საბჭო გადაჭრით მხარს უჭერს საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ნაბიჯებს, რომელიც მიმართულ კონფლიქტის მშვიდობით მოგვარებისაკენ და სომხეთ-საქართველოს კონფერენციის მოწვევისაკენ საზღვრების საკითხის გადასაწყვეტათ და თუ ეს არ მოხდა აუცილებელი უნდა იქნეს საერთაშორისო არბიტრაჟი“.

ხმ. ხუდადოვის წინადადებით, საბჭო სთხოვს მთავრობას ეს რეზოლუცია რადიოთი გადასცეს ერევნის ქალაქის საბჭოს. ხმ. ნ. რამიშვილის წინადადებით, ქალაქის საბჭომ უნდა გამოსცეს მოწოდება მცხოვრებთადმი.

ფრანგული პრესის ცნობა

(საქ. დეპ. სააგ.)

სამხედრო საქმეთა მდივნის ამხანაგმა დეშამპში პალატაში განაცხადა, „რომ სხვა და სხვა ეროვნებისაგან შემდგარ სარეზერვო ჯარს რიცხვით 1,200,000, 15 თებერვლამდე დაითხოვენ.

ინგლისელები რეინზე გადვიდნენ და კელნის ოკუპაციას დაიწყეს.

დროებითი ზავის პირობების შესრულება; დიუნკირხში მოვიდა საბარგო ვაგონებისაგან შემდგარი 2 მატარებელი, რომელსაც გერმანელები მოკავშირეებს აბარებენ. მოელიან სხვა მატარებლებსაც.

როგორც შეიტყობიდან იუწყებიან, ბოლშევიკების 10 დივიზია უახლოვდება გერმანიის საზღვარს, სადაც იმედი აქვთ, რომ მათ შეუერთდება უკიდურესი სოციალ-დემოკრატები, ბოლშევიკების ჯარი გზაში ყველაფერს აოხრებს.

ვილსონმა თავის პასუხში განაცხადა: არ ვიცი სხვა რომელ მოკავშირესთან შეგვეძლო მეტის სიხარულით და აღფრთოვანებით ბრძოლა. ჩემთვის სიამოვნება იქნება საფრანგეთის და მის მოკავშირეების წარმომადგენლებთან თათბირი, რომელთა შემწეობით უზრუნველყოფთ კატასტროფის თავისუფლებას, რის მოპოვება შეიძლება მხოლოდ ამ კავშირით და ნამდვილ მეგობრების თანამშრომლობით. ნასადილევს ვილსონმა მიიღო სოციალისტები, რომელთაც შემდეგი უთხრა: აუცილებელია, რომ თავისუფლების მტერთ მომავალში მოუსპოთ საშუალება მოახვიონ თავის მკაცრი და მხეცური ნება-სურვილი მთელს კაცობრიობას. ასეთ მდგომარეობის დამყარება, ჩემის აზრით შეიძლება მხოლოდ ხალხთა ლიგის დაარსების შემდეგ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ერთად ერთი საშუალებაა დავარწმუნოთ ისინი, ვინც მართავს თქვენს ქვეყანას. მე ბედნიერი ვარ რომ შეძლება მაქვს ვთათბირო მათთან იმის შესახებ, რომ დიდი ხნის ზავი უზრუნველყოფილი იქნეს.

გერმანული პრესის ცნობა.

(საქ. დეპ. სააგ.)

გერმანიის საბჭოთა ყრილობა.

გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობა გაიხსნება 1918 წლ. 16 დეკემბერს, დილის 10 საათზე, პრუსიის ყოფილ დეპუტატთა პალატაში.

სახ. კომ. საბჭოს მოხსენება.

სასახლო კომისართა საბჭომ 16 დეკემბერს გერმანიის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ ყრილობის წინაშე მოხსენება წაიკითხა თავის მოქმედების შესახებ.

სურსათი გერმანიისთვის.

დროებითი ზავის გერმანიის კომისიის და შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლების თათბირი ტრეფში სრული შეთანხმებით დასრულდა, რომლის ძალითაც გერმანიის ნავთსადგურებში მყოფ $2^1/_2$ მილიონ ტონის გემების საშუალებით გადმოიზიდება სურსათი გერმანიის გამოსაკვებათ.

საარჩევნო ბრძოლა.

15 დეკემბერს ბერლინს უკვე დაეტყო, რომ დაიწყო საარჩევნო ბრძოლა. ყველა მნიშვნელოვანმა პარტიამ, ახლათ შემდგრმამ, მოიწვიეს მრავალ რაცხოვანი კრებები, რომლებსაც აუარებელი ხალხი დაესწრო.

სოც.-დემოკრატების უმრავლესობის პარტიამ სამი კრება გამართა. ყველაზე მრავალრაცხოვანი კრება ბუშეს ცირკში გაიმართა, სადაც 4.000 კაცი დაესწრო. ამ კრებაზე ილაპარაკა ებერტმა, რომელსაც კრება დიდი ზეიმით და აღფრთოვანებით შეხვდა. ებერტმა განაცხადა, რომ სახელმწიფო კონფერენციის მიზანია რევოლიუციის მონაპოვარის განმტკიცება.

გერმანიის სამეურნეო და პოლიტიკური მდგომარეობა იმდენად სერიოზულია, რომ უნდა ვეცადოთ ყოველივე უბედურობის წინს ვაცდენ. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დეპუტატთა სახელმწიფო კონფერენციამ უნდა იზრახოს და ყოველგვარი ძალა უნდა იხმაროს კომენსაციის დასამარცხებლად. სოციალისტური რესპუბლიკა მოითხოვს ორგანიზაციულ სამართველოს და მთავრობა თავისუფლად უნდა მომქმედებდეს. სოციალ-დემოკრატებმა სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობაში გადასწყვიტეს სახელმწიფოს კონფერენცია მიღებულ გადაწყვეტილების ფაქტის წინაშე დააყენონ. შეუძლებელია, რომ მთავრობას უყურებდნენ როგორც ზედმეტს-მთავრობა საკმაოდ ძლიერი უნდა იყოს, რომ ცხოვრებაში გაატაროს თავის დადგენილებანი. ამ მიზანს ემსახურება აგრეთვე ახალი სახალხო თავდაცვის მოწყობა, რომელიც საჭიროა აგრეთვე იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ეროვნულ კრების არსებობა.

მხურვალე ტაშით დაათვალიერეს ებერტის შემდეგი სიტყვა: ჩვენ ენერგიულ პროტესტს ვაცხადებთ პრუსიის ერთი მინისტრის (გოტჰაინის) იმ განცხადების გამო, რომელიც დამფუძნებელ კრებას ეწინააღმდეგება. სახელმწიფო მთავრობელობის სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერენ დამფუძნებელ კრებას და მასვე აძლევენ ხმას. ებერტი განაგრძობს: მე იმ დასკვნამდე მოვედი, რომ სრული შემთხვევა გვეძლევა, ყოველივე დაბრკოლების მოუხედავათ დავნიშნოთ დამფუძნებელი კრების არჩევნები დანიშნულ დროზე 4 კვირით ადრე. ამით ჩვენ ინტერესებს და უფლებას არავითარ ზიანს არ მივაყენებთ. კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც მუშათა და ჯარისკაცა დეპუტატების საბჭოთა სახელმწიფო კონფერენციისაგან დაკანონით მოითხოვს დამფუძნებელ კრების არჩევნები 1919 წ. 19 თებერვლისთვის დაინიშნოს.

სოციალ-დემოკრატიულ უმრავლესობის ორ სხვა კრებაზე სახალხო რწმუნებულებმა შეიდებანმა და ლანდსბერგმა რევოლიუციის მიზნების შესახებ ილაპარაკეს. კრებებზე მიღებულ იქნა ამგვარივე რეზოლიუციები.

შეცდომის გასწორება

მეორე გვერდზე, მეოთხე სვეტში, ზემოდან მე-37 სტრიქონში, ბ. ტაგარანის დეპეშაში სწერია: სამხედრო ძალების გაყვანის შესახებ ზაქათალიდან და ბორჩალოს მაზრების ნაწილებიდან,—უნდა იყოს: სამხედრო ძალების გაყვანის შესახებ ქარილს გარეშე მდებარე ადგილებიდან და ბორჩალოს მაზრის ნაწილებიდან..

ქალაქის გამგეობაში.

სიძვირის გამო.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა დეკემბერშიაც მიეცეს ქალაქის მოსამსახურეებს ჯამაგირზე ზედმატება პურის სიძვირის მიერ გამოწვეული.

მილიციის უფროსის შუამდგომლობა.

მილიციის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა მან მიიღოს თავის განკარგულებაში მილიციის სამეურნეო ნაწილი.

სამსახურისადმი გულგრილობა.

ქალაქის სასწავლებლების საბჭოს დროებითმა თავმჯდომარემ, გამგეობის წევრმა ს. გ. ფირუმოვმა ქალაქის გამგეობას მოახსენა, რომ ორთაუალის თავმესაფარის დასაწყის სკოლაში სექტემბრიდან აქამდე სულ სამჯერ მომხდარა ბავშვების სწავლა ამის გამო, რომ ამ სკოლის გამგე მასწავლებელი თურმე სკოლაში სრულიად არ დაიარებოდა. ქალაქის გამგეობამ დაადგინა ამ სკოლის გამგე ნ. ა. ნიკოლაძე დაითხოვნილ იქნეს სამსახურიდან.

მილიციონერების მიმღები კომისია.

მილიციის უფროსთან შესწდა კომისია უფროსის და უნცროს მილიციონერების სამსახურში მისაღებად. ამ კომისიას შეადგენენ ქალაქის გამგეობის წარმომადგენელი ვ. თ. ხახანაშვილი, ერთი წარმომადგენელი მილიციის კომისარების პიროვნებან და ერთი წარმომადგენელი მილიციონერების პროფესიონალურ კავშირისაგან.

მომრიგებელ მოსამართლეების არჩევის გამო.

სარეკომენდაციო კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის საბჭოს მიერ მომრიგებელ მოსამართლეების კანდიდატების ამორჩევა მის მიერ ამორჩეულ 42 კანდიდატებს 14 დეკემბრამდე ვიდა მისცა გამოსაცხადებლად ქვეშერეკომობის და ქართული ენის ცოდნის შესახებ. კომისიამ 13 დეკემბრამდე სულ 15 კანდიდატისაგან მიიღო განცხადება ამის გამო. მომრიგებელ მოსამართლეების არჩევანი ქალაქის საბჭოში—ორშაბათობით არის დანიშნული.

დაშნაკცაკანების ფრაქციაში.

ქალაქის საბჭოს დაშნაკცაკანების ფრაქციაში აღარფერია კითხვა, ქალაქის საბჭოს ხმოსანთა მომავალ არჩევნებში დაშნაკცაკანების პარტიამ ცალკე მონაწილეობა მიიღოს თუ შეუერთდეს სხვა პარტიას, რადგანაც ახალი კანონი ქვეშერეკომობის შესახებ ამ პარტიის ანგარიშს სულ სცვლის.

დღესასწაულის გამო ჯამაგირების დარიგება

ქალაქის გამგეობამ დაადგინა დღესასწაულების მოახლოების გამო ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთ დეკემბრის ჯამაგირი დაურიგდეს თავის დროზე მათი სხვა და სხვა ვალების გამოურიცხველად, გარდა ეკონომიურ საზოგადოების ვალისა.

ახალი სამკითხველო.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა იმ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, რომელიც ნაძალადევში არსებება, დაერქვას გ. ვ. პლეხანოვის სახელი.

დანიშვნა.

კუკიის პირველ სომხურ დასაწყის სასწავლებელის გამგედ ქალაქის გამგეობამ ა. მ. მირზოევის დანიშნა.

გალობის მასწავლებლობით ქალაქის გამგეობამ სასწავლებლების საბჭოს არჩევნისამებრ დანიშნა ხ. ღ. ხატიაშვილი მე-3 ივლებრის დასაწყის სასწავლებელში და ნ. ი. ლაბაძე კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიის დასაწყის სკოლაში.

აისორებთათვის სკოლა.

ქალაქის სასწავლებლების საბჭოს დადგენილებისამებრ ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა ასსირიელების (აისორების) ბავშვებისათვის დაარსდეს ცალკე ახალი დასაწყისი სასწავლებელი, რომელიც მოთავსებულ უნდა იქნას კუკიის ნორაშენის ეკლესიის სკოლის ბინაში. სწავლა უნდა საღამოობი მოცლილი არ არის. ამ აისორების ახალ სკოლის მასწავლებლათ ქალაქის გამგეობამ დ. იუხანი დანიშნა.

ტელეფონების მოხსნა.

ქალაქის გამგეობამ გაუგზავნა ტელეფონის უფროსს სია ქალაქის გამგეობის იმ მოხელეთა, რომელნიც სამსახურიდან დათხოვნილ იქნენ და რომელთა ბინებში აქამდე ტელეფონები აქვთ და ქალაქის გამგეობის ხარჯით სარგებლობენ ამ ტელეფონებით. სიაში სულ 9 კაცია. გამგეობა ითხოვს, რომ მათ ტელეფონები ჩამოერთვას.

შეშის საკითხი.

ქალაქის გამგეობამ მიიღო ბ-ნ აბაშელიძის და ბელიავსკის წინადადება ლანჩხუთიდან ტფილისში შპალების ჩამოტანის შესახებ. ეს შპალები დაუშხედებით ბაქოს რკინის გზისთვის, მხოლოდ კანტროლს არ მოუღია, რადგანაც ზომით ნაკლები გამომდგარა და ეხლა ეს შპალები შეშის ალაგას იყიდება დასაწყობლათ. 60 შპალიდან დახერხვის და დაპობის შემდეგ ერთი კუბ. საჟ. შეშა დგება. სულ 17 ათასამდე შპალია ლანჩხუთში დაწყობილი. ბ-ნი აბაშელიძე ტ ბელიავსკის პირობებისამებრ ტფილისის საწყობში გადმოტანით ამ შპალების თითო საჟენი შეშა დაუჯერდ დაუჯახად 721 მან. 52 კაპ. დაუჯდება ქალაქს.

დაწვრილებითი განმარტების მიცემა.

პარლამენტის საიურიდიულო თათბირმა ქალაქის საბჭოს არჩევნების მოსაზადებელ კომისიას გამოუგზავნა დაწვრილებითი განმარტება საქართველოს ქვეშერეკომობის კანონის შესახებ.

ქუთაისი

○ 10 დეკემბერს მილიციამ დაიპატიმრა წ. ქ. გ. სტამბის მართველი კოლია მალანია, რომელსაც ბრალდება პურისა და შაქრის ყალბი ბარათების შეჭყდა და გავრცელება.

○ როგორც ცნეობულიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ ტყეებულის რაიონში ყანჩელ მორჩილაძეს მკედრო კავშირი ქონია ოქერი ადმინისტრაციასთან. მორჩილე დღესაც კამისარ—მილიციონერთან ერთათ ოჯახებში დაიარება საქეიფოდ.

○ 26 ივლისიდან 20 ოქტომბრამდე შრომის ბირჟაზე ჩაეწერა 611 უმუშევარი მამაკაცი, 238 დედაკაცი. მათ შორის პროფესიონალურ ორგანიზაციების წევრები არიან 156 მამაკაცი, 37 დედაკაცი, წერაკითხვის მცოდნე 501 მამაკაცი, 205 დედაკაცი, მართხელა 345 მამაკაცი, 169 დედაკაცი, ცოლმორჩილიანი 228 მამაკაცი, 46 დედაკაცი, ქვრივი 38 მამაკაცი, 23 დედაკაცი, ქართველი 504 მამაკაცი, 221 დედაკაცი, რუსი 51 მამაკაცი, 11 დედა კაცი, სომეხი 34 მამაკაცი, 5 დედაკაცი, ებრაელი 3 მამაკაცი, თათარი 9 მამაკაცი, პოლონელი 4 მამაკაცი, 1 დედაკაცი, ოსი 3 მამაკაცი, ბერძენი 3 მამაკაცი.

○ საგუბერნიო კომიტეტის სასურსათო მოსამსახურეებს გადაწყვეტილი ქონდა გამოეცხადებინა გაფიცვა ვინაიდან მათი ეკონომიური მოთხოვნილება თავის დროზე დაკმაყოფილებული არ იქნა. ეს ცნობა შრომის კომისარს. მან კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებელი წინადადება მისცა კომისიების რეშენებულებულებს გამგზავრებულ ტფილისში რომელიც უკვე გაემგზავრა.

განცხადებები

სასადილო საზოგადოება „იმედი“-სა

ქალთა წრემ განაახლა მუშაობა სასადილო „იმედისა“. ყოველ დღე მზადდება გემრიელი სადილები 1 საათიდან—5 საათამდინ. მოწვეულია საუკეთესო მზარეული. ფასები დაკლებულია. სასადილო იმყოფება ძველ სემინარიის შენობაში. 1173 12—1

დიდი ხნის ნამსახური ასწავლის ბეშდვას

ქარიულ საწერ მანქანაგზე

და ამზადებს სპეციალურად დაწესებულებებისათვის (ყველა სამსახურის ქალადლების ფორმების შესწავლით). აქვე ასწავლიან ქართულ ენას. ლერმონტოვის ქ., № 29. 1154 8—3

ქ. ტფილისის პირველი მომრიგებელ განყოფილების სასამართლოს ბოქაული ვ. ა. ზამი: ისკი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. დეკემბრის 27, დილის 10 საათზე მის მიერ მოხდება საჯარო ვაჭრობა ვალენტინა ვუნდერის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს სახლის ავეჯეულობას, შეფასებულს 280 მან. ვაჭრობა მოხდება ვუნდერის ბინაზე, ვერის დაღმართი, № 11. 1146 1—1

კახელ მემამულეთა საზოგადოება „კახეთის“ გამგეობა აცხადებს, რომ მისთვის საჭიროა

გაგრცელი გუნჯალტერი.

მსურველებმა თავიანთი პირობები ნამსახურობის და სწავლის მოწმობები უნდა წარმოუდგინონ საზოგადოების გამგეობას, გოგოლის ქუჩა № 63. 1175 1—1

ნაფიცი ვეძილი იოსებ ივანეს ძე კარაევი აცხადებს, რომ მან დაკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ტფილისის ოლქის სასამართლოდან. 1147 1—1

ბერგმან გოლდბერგი აცხადებს, რომ მან დაკარგა ტფილისის საღგურზე ლოგინი, ჩემოდანი და კალათი, სადაც სხვათა შორის იყო სნი ებრაული წიგნი. მპოვნელს თხოვს დაუბრუნოს მხოლოდ წიგნები, რისთვისაც ის მიიღებს 300 მან. ჯილდოს. მისამართი: პოლიციის ქუჩა, № 2, ბერგმან გოლდბერგს. 1155 3—1

პეტრე პეტრეს ძე სტეპანი აცხადებს, რომ მან დაკარგა კვიტანცია № 862, 100 მან. მიღებული კაჟასის სამხედრო კოოპერატივიდან. კვიტანცია გაუქმებულად თვლება. 1186 3—1

ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელი განყოფილების მოსამართლე იწვევს სპირიდონ იოსების ძე ჟვანიას მემკვიდრეებს, ვისთა მათ განაცხადონ თავიანი უფლება ჟვანიას ქონებაზე სამ. კან. კრებ. X ტ. I ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1151 1—1.

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. სექტემბრის 22 დადგენილებით დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი მოსე ივანეს ძე კარამიანისა. 1159 1—1

საყოველთაოდ ცხადდება, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოს 1918 წ. [illegible]ვლისის 22 დადგენილებით კოოპერატიულ ამხანაგობათა წესდებაში შეტანილია სამეურნეო საზოგადოების წევრთა და თანამშრომელთა მომხმარებელი საზოგადოება „ცერერა“. 1156 1—1

საყოველთაოდ ცხადდება, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოს 1918 წ. სექტემბრის 26 დადგენილებით, კოოპერატიულ ამხანაგობათა წესდებაში შეტანილია შრომის სამეურნეო და სამრეწველო ამხანაგობა ტფილისის ყოფილ ლაზარეთის მონაწილეთა. 1158 1—1

ქ. ტფილისის მეორე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე, ამა წლის დეკემბრის 10 დადგენილების თანახმად, იწვევს 1913 წ. ოქტომბრის 9 გარდაცვლებულის ალექსანდრე გრიგოლის ძე ხოჯაფიროზოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სამ. კან. კრებ. X ტ. I ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1156 1-1

სოხუმის მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე 1918 წ. ოქტომბრის 31 დადგენილებით, სისხ. სამ. წესდ. მე-846 მუხ. თანახმად ეძებს ქ. სოხუმის მცხოვრებთ დიმიტრი ტაბიძეს და დომენტი ძაძამიას, რომლებსაც ბრალი ედებათ საათის მითვისებაში. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობენ ტაბიძე და ძაძამია, ვალდებული არიან განუცხადონ სოხუმის მომრიგებელ მოსამართლეს. 979 1—1

ქ. ტფილისის მეორე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე, ამა წლის დეკემბრის 10 დადგენილების თანახმად სამ. საქ. წარმ. წესდ. 1460[11] მუხ. თანახმად, ამით აცხადებს, რომ ვეძებლობა, მიცემული დარია ლეგანის ასულის ბეგთაბეგოვნის მიერ ბარბარე ბოგდანის ასულ ბეგთაბეგოვნის, და შედეგნილი ტფილისის ნოტარიუს ბოტეხატოვ 1918 წ. აგვისტოს 3, რეესტრი № 3632, გაუქმებულად ითვლება. 1157 1—1

ქ. ტფილისის მეორე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე 1917 წ. ოქტომბრის 24 დადგენილების თანახმად, იწვევს, ანნა საყის ასულის გიაკუციანის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გიაკუციანის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მეათე ტ. 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1032 1—1

ქ. ტფილისის პირველი მომრიგებელი განყოფილების მოსამართლის თანაშემწის დადგენილებით ეძებენ დაითი ივანეს ძე ზავგოროდნოვს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დგ. მე-169 მუხ. თანახმად. ზავგოროდნოვი 23 წლისაა. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ზავგოროდნოვი, ვალდებულია განუცხადონ მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება ზავგოროდნოვის ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეატანონ საოპეკუნო სამმართველოში. 659 1—1

ხონის მომრიგებელ უბნის გამგე, სამ. კან. კრებ. X ტ. I ნაწ. 1233 და 1241 მუხ. თანახმად, იწვევს გარდაცვლებულ სერგეფონ გრიგოლის ძე ბუაძის მემკვიდრეებს, რათა მათ ეცნონ თვის ვადაში განაცხადონ თავისი უფლება ბუაძის ქონებაზე. 442. 3—1

მიხეილ ნესტორის ძე ღამბაშიძე ამით აცხადებს, რომ მან დაკარგა 1 ყვარილის უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლიდან მოწმობა № 252-1915 წ., რომელიც დღეის რიცხვიდან უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 1177 3—1

საყოველთაოდ ცხადდება, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოს ამა წლის აგვისტოს 15 დადგენილებით, კოოპერატიულ ამხანაგობათა წესდებაში შეტანილია ცვლილება „პოსტაგშრიკ პროდუქტოვ“, რომლის გამგეობა ტფილისში იმყოფება. 1157 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ყადაღა, რომელიც დადებული იყო ივანე ნიკოლოზის ძე მუშჩერინის ქონებაზე და რომელიც აღნიშნული იყო ქ. სოხუმის 1917 წ. ყადაღათა კრებ. მე-19 №-ით, გაუქმებულია 1918 წ. ოქტომბრის 1-დან. სოხუმის ოლქის 1918 წ. ყადაღ. კრებ. № 57. 1132 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ყადაღა, რომელიც დადებული იყო არონ იოსების ძე მორახაიის უძრავ ქონებაზე და რომელიც აღნიშნული იყო ქ. სოხუმის 1917 წ. ყადაღ. კრებ. მე-82 №-ით, გაუქმებულია ამა წლის დეკემბრის 7-ს. ქ. სოხუმ. 1918 წ. ყადაღ. კრებ. № 56. 1131 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ სასამართლოს ბოქაული სამაზრო განყოფილებისა ა. ფ. პეტრენკო-ტკაჩენკო ამ წლის 15-დან დათხოვნილია, სამსახურში გამოუცხადებლობის გამო. თავმჯდომარე იწვევს იმ პირთ, რომლებსაც რაიმე პრეტენზია აქვთ პეტრენკო-ტკაჩენკოს სასწენდარზე. პრეტენზია უნდა შემოტანილ იქნეს 6 თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან. 1093 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 22 დამტკიცებულია, ამა წლის ნოემბრის 1 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ალოლუ კონსტანტინეს ძე იასინსკიმ 1000 მან. მიჰყიდა მაგრატ სიმონის ძე კურცხალიას მიწის ნაკერი შენობებით ქ. ფოთში, ზომით 1125 ოთხკ. საჟ. №№ 742 და 744 უბ. 79. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 40 მ., მთავარი ამონაწერი 5 მან. ღირებულების საღერძო ქალაქლზე მიცემულია ამა წლის ნოემბრის 22. 1140 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი [illegible]აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 22 დეკემბერს ამა წლის ნოემბრის 12 შედგენილი, ჯნასყიდობის სიგელი, რომლითაც პლატონ იოსების ძე ალიარაძემ 15000 მან. მიჰყიდა პეტრე გლახის ძე კუპრიეშვილს მიწის ნაკერი შენობებით ქ. ხონში, ზომით 18, 12 ოთხ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 600 მან. მთავარი ამონაწერი 45 მან. ღირებულების საღერძო ქალაქლზე მიცემულია ამა წლის ნოემბრის 22. 1139 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. სექტემბრის 23-ს მის მიერ აღნიშნულია, ორეშირის ნოტარიუს ხუსეინოვისთან შედგენილი, სმ-ტკიცის მოწმობა, რომლითაც ბესიონის ტაგუას-ძე სანაიმ საჯარო ვაჭრობაზე შეიძინა მამული, რომელიც მდებარეობს ქ. ორეშირეში, უბ. № 66, ტფილეგრაფის და იღორის ქ. კუთხეში, მამული შეიცავს მიწის ნაკერს შენობებით, ზომით სიგრძით-61 არშ. განით-9, ნ არშ. მამული ეკუთნოდა ხელიც კუნჭ მეზვედოლას. 987 1—1

ტფილ. ქართ. ვაჭარ-მრეწველთა კავშირის გამოძახება

აცხადებს საქართ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის საარჩევნო ინსტრუქციის 1 §-ის ძალით, არჩევნები საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრებისა დანიშნულია:

1) ქ. ტფილისში 5 იანვარს (ახ. სტ.) 1919 წელს: I, II, III, IV, V და VI საბილეთო უბნებისა ტფილ. ქარ. ვაჭარ-მრეწველთა კავშირის ბინაზე (ფრეიტინის ქ. 11). თავმჯდომარეობა მინდობილი აქვს ბ-ნს მიხეილ ჯავახიშვილს; მე-VII, VIII, IX, X, XI და XII უბნებისა ძვ. ზუბალაშვილების სახლში ამავე დღეს; თავმჯდომარეობა მინდობილი აქვს ბ-ნს სტეფანე ჭყონიას.

2) ლეჩხუმის და გორის მაზრების არჩევნები დანიშნულია ქ. გორში 5 იანვარს (ახ. სტ.) 1919 წელს გორის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის ბინაზე; თავმჯდომარეობა აქვს ბ-ნს ზაქარია ქიტოვანს.

3) სიღნაღის მაზრისა და ზაქათალის ოლქის არჩევნები დანიშნულია ქ. სიღნაღში საურთიერთო ნდობის საზოგად. ბინაზე (ბანკში) 5 იანვარს (ახ. სტ.) 1919 წ. თავმჯდომარეობა მინდობილი აქვს ბ-ნს კოტე ტყავაძეს.

4) თიანეთისა და თელავის მაზრებისა დანიშნულია ქ. თელავში 12 იანვარს (ახ. სტ.) 1919 წელს კახეთის კოოპერატივთა კავშირის ბინაზე. თავმჯდომარეობა მინდობილი აქვს ბ-ნს კოტე ტყავაძეს.

საარჩევნო სიების განხილვა შეიძლება ზემოაღნიშნულ ბინებზე 1918 წ. დეკემბრის 19-დან ყოველ დღე 10 ს-დან 3 ს-მდის. 1185 3—1